



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 101

2016 წლის 30 აპრილი

ქ. თბილისი

2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის
გამოცხადების შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო ბიჭაძის სამსახურებრივი ბარათის (N571532, 27.05.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი;
2. დამტკიცდეს 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „საპროექტო წინადადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერის, მენტორისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს „პროექტის რეზიუმე“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს მენტორის, კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
12. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

